სამართალი

ყოველკვირეული საგაზეთო ჩანართი

21 მარტი, 2011 წელი, №53

ქალაში დატოვებული განაჩენი

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შვილის მკვლელობის მცდელობისთვის მსჯავრდებული ცხრაწლიან სასჯელს მოიხდის.
სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დაცის მხარის მოთხოვნა, მიიჩნია, რომ განაჩენი არის კანონიერი, სამართლიანი, დასაბუთებული და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა

2

სასამართლოს განმარტება

თბილისის საქალაქო სასამართლო ცოტნე გამსახურდიას ადვოკატის ბრალდებებს უარყოფს და მათ მოსაზრებას უსაფუძვლოს უწოდებს.
"ცოტნე გამსახურდიას სასამართლო პროცესის მიმდინარეობა სხდომის ოქმში არასწორად არის ასახული. კერძოდ, დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობები, რომელიც მოსამართლემ დააკმაყოფილა, სხდომის მდივანმა ოქმში სახეშეცვლილი გადაიტანა," - ასეთი იყო ადვოკატის ბრალდება.

3

განრიდების პროგრამის ევროპული მოდელი

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს ეწვივნენ ჰოლანდიელი და ავსტრიელი ექსპერტები - დატო სტინჰოისი და მიხაელ შონი, რომლებმაც ქართველ კოლეგებს გაუზიარეს გამოცდილება პასუხისმგებლობის ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ. განრიდების პროგრამის ჰოლანდიური მოდელის პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტში გაიმართა.

4

როგორ გავხდეთ სასურველი ქვეყნის მოქალაქე

უცხოეთში სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქეების დიდი ნაწილი არალეგალურად ცხოვრობს, რაც საკმაოდ დიდ პრობლემებთან არის დაკავშირებული. არადა, როგორც სამშობლოდან ემიგრირებულები ამბობენ, ისინი დარწმუნებულები იყვნენ - მთავარია სასურველ ქვეყნამდე ჩაეღწიათ და სამუშაო ეშოვათ, რომ ყველა პრობლემას დაძლევდნენ, მათ შორის მოახერხებდნენ იმ ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას, რაც ლეგალურად ცხოვრების და მუშაობის გარანტი იქნებოდა. თუმცა, როგორც საბოლოოდ გაირკვა, უცხო ქვეყანაში მოქალაქეობის მიღება არც თუ ადვილი საქმეა, ემიგრანტთა უიმედო რწმენის საფუძველი კი ისევ და ისევ კანონის უცოდინრობაა.

მოქალაქეობა არის სამართლებრივი კავშირი პირსა და სახელმწიფოს შორის. მოქალაქე არის პირი, რომელიც ექვემდებარება სახელმწიფო ძალაუფლებას და პროტექციას და, შესაბამისად, ამ სახელმწიფოს მიმართ გააჩნია კანონით დადგენილი სამოქალაქო უფლება-მოვალეობები. მოქალაქე პატივს სცემს იმ საზოგადოების წეს-ჩვეულებებს, რომელსაც ის მიეკუთვნება. მოქალაქის სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური უფლებები, ასევე მისი მოვალეობები დგინდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც იგი ცხოვრობს.

მოქალაქეობის მიღების წესს ყველა ქვეყანა საკუთარი კანონმდებლობით არეგულირებს და შესაბამის წესებებს ადგენს. მაგალითად, **ამერიკის შეერთებული შტატებში** მოქალაქეობის საკითხები რეგულირდება "მოქალაქეობის შესახებ" ამერიკის შეერთებული შტატების კანონით და აშშ-ს სახელმწიფო კოდექსის მე-8 თავით. კანონმდებლობის თანახმად, ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეობის მოპოვება ხდება დაბადებით: ბავშვი, რომელიც გაჩნდება აშშ-ს ტერიტორიაზე ხდება ქვეყნის მოქალაქე, მიუხედავად მისი მშობლების მოქალაქეობისა. ამასთან, აშშ-ს მოქალაქე ავტომატურად ხდება უცხოეთში გაჩენილი ბავშვი,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

საუდამო პაზიმრობა შეკვეთილი მკვლელობის შესრულებისთვის



თბილისის საქალაქო სასამართლომ ორგანიზებული-დანაშაულებრივი დაჯგუფების 5 წევრი - ინგა წ-ს, ზვიად ს-ს, ელენე თ-ს, ზურაბ ს-ს და გიორგი რ-ს გაასამართლა. ინგა წ-ს მიერ მიცემული შეკვეთა - ქმრის მკვლელობა, ჯგუფის წევრებმა სისრულეში მოიყვანეს.

საქმის მასალების მიხედვით, 2009 წლის აპრილის დასაწყისში, ინგა წ. დაუკავშირდა თავის მდგმურ - ზვიად ს-ს და მოახლეს - ელენე თ-ს, რომელთაც საკუთარი მეუღლის - გია წ-ს მკვლელობაში დახმარება სთხოვა, იმ მოტივით, რომ მეუღლე ხშირად სვამდა და ნასვამ მდგომარეობაში მყოფი სისტემატურად აყენებდა შეურაცხყოფას, როგორც თავად ინგა წ-ს ასევე, მათთან სტუმრად მყოფ პირებს. ინგა წ-ს ვარაუდით, მეუღლის ამგვარი ქმედება შვილების სიცოცხლესაც უქმნიდა გარკვეულ საფრთხეს. შეკვეთის შესრულების შემთხვევაში ინგა წ. შემსრულებლებს გასამრჯელოს - 5 000 დოლარს დაპირდა.

ინგა წ. ზვიად ს. და ელენე თ. აქტიურად შეუდგნენ დასახული გეგმის განხორციელებას. მათ მკვლელობის უშუალო შემსრულებლად ზვიად ს-ს ნაცნობი - ზურაბ ს. შეარჩიეს, რომელსაც ზვიად ს-მ გია წ-ს შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა.

2009 წლის 29 აპრილს, დაახლოებით 22:30 საათზე, ზურაბ ს. მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი ცეცხლსასროლი იარაღით, დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ წინასწარ მიწოდებული ინფორმაციის მიხედვით, გია წ-ს ცხემის ქუჩაზე, მისი საცხოვრებელი სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე ჩაუსაფრდა. შეარჩია შესაფერისი მომენტი, სწრაფი ნაბიჯებით მიუახლოვდა და ცეცხლსასროლი იარაღიდან გია წ-ს მიმართულებით გაისროლა. გია წ. მიყენებული სასიკვდილო ჭრილობისგან ადგილზე გარდაიცვალა, ხოლო ზურაბ ს. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

მკვლელობის მეორე დღეს ინგა წ-მ ელენე თ-ს შეპირებული თანხა გადასცა.

ზურაბ ს-მ კი, შეკვეთილი მკვლელობის სისრულეში მოყვანის შემდეგ, კვლავ ჩაიდინა დანაშაული. 2010 წლის 27 ივნისს ზურაბ ს.-მ გადაწყვიტა, მართლსაწინააღმდეგოდ შეძენილი «კალაშნიკოვის" სისტემის იარაღის გამოყენებით ყაჩაღურად თავს დასხმოდა ზესტაფონში მცხოვრებ, ვინმე რატის. მიღებული ოპერატიული ინ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

Vox Populi

შეკითხვები "სამართალს"

რუბრიკა Vox populi სისტემატურად გთავაზობთ მკითხველთა წერილებს, მოსაზრებებსა და შეკითხვებს.

თამაზ გოგოლაშვილი, 28 წლის:

- გირაოს შემტანს უნდა გადაეცეს თუა არა რაიმე სახის დოკუმენტი, რომელიც გირაოს შეტანას ადასტურებს?

- გირაოს მიღების შესახებ დგება ოქმი, რომლის ერთი ასლი გადაეცემა გირაოს შემტანს.

მაია მუშკუდიანი, 43 წლის:

- შეუძლია თუ არა ადვოკატს, ამა თუ იმ საქმეში მონაწილეობისას აიყვანოს თანაშემწე და რა შემთხვევაში? სარგებლობს თუ არა თანაშემწე დამცველის უფლებებით?

- საადვოკატო საქმიანობის განხორციელების პროცესში ტექნიკური ან სხვა სახის დახმარების მიღების მიზნით, ადვოკატმა შეიძლება აიყვანოს თანაშემწე. თანაშემწე არ სარგებლობს ადვოკატის უფლებებით

ელისო ნინიკაშვილი, 48 წლის:

- რა უფლებები აქვს გამოსაკითხ პირს და როგორ ხდება მისი გამოკითხვა?

- ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი გამოკითხვის წესებსაც ადგენს. ნებისმიერი პირი, რომელიც შესაძლებელია ფლობდეს საქმისთვის მნიშვნელოვან ინფორმაციას, ნებაყოფლობით შეიძლება გამოიკითხოს მხარეების მიერ. დაუშვებელია გამოსაკითხი პირი აიძულონ, წარმოადგინოს მტკიცებულება ან გასცეს ინფორმაცა. გამოსაკითხ პირს უფლება აქვს, საკუთარი ხარჯით ისარგებლოს ადვოკატის მომსახურებით, თავის წინააღმდეგ არ გასცეს ინფორმაცია და აღნიშნული უფლებების შესახებ განმარტება მიიღოს გამოკითხვის დაწყებამდე. გამოკითხვის წინ უნდა დადგინდეს გამოსაკითხი პირის ვინაობა და სხვა აუცილებელი ინფორმაცია. ეს ინფორმაცია უნდა ჩაინეროს გამოკითხვის ოქმში.

ციცინო დოლენჯიშვილი, 54 წლის:

- ვინ იღებს გადაწყვეტილებას მსჯავრდებულის სასჯელის ვადის შემცირების, ან მისთვის სასჯელის სახის შეცვლის შესახებ?

- მსჯავრდებულის სასჯელის ვადის შემცირების ან სასჯელის სახის შეცვლის შესახებ შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო. გარდა ამისა, მსჯავრდებულის სასჯელისაგან სრულად გათავისუფლების თაობაზეც გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

ირინა ჩეჩელაშვილი, 23 წლის:

- თუკი მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებასი ყოფნისას არ აქვს პირადი ტანსაცმელი, ვინ უნდა უზრუნველყოს ის ტანსაცმლით? ვინ უზრუნველყოფს პატიმრის თეთრეულის სისუფთავეს?

- თუ მსჯავრდებულს არა აქვს პირადი ტანსაცმელი, ადმინისტრაცია უზრუნველყოფს მას სეზონის შესაფერისი სპეციალური ტანსაცმლით, რომელიც თავისი ფორმით არ უნდა ლახავდეს ადამიანის ღირსებას.

აუცილებლობის შემთხვევაში მსჯავრდებულს ეძლევა სამუშაო ტანსაცმელი.

მსჯავრდებულს პირად სარგებლობაში უნდა ჰქონდეს საწოლი და თეთრეული, რომელიც მას უნდა გადაეცეს სუფთა და დაუზიანებელი. ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს თეთრეულის სისუფთავე.

ლევან ცაცანაშვილი, 57 წლის:

- სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნისას უნდა შეექმნათ თუ არა ორსულ ქალებს და ავადმყოფებს მათი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები?

- "პატიმრობის კოდექსის" თანახმად, ორსულ ქალებს, მეძუძურ დედებს, არასრულწლოვნებს, ავადმყოფებს, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ხანდაზმულებს (ქალებს - 60 წლიდან, მამაკაცებს - 65 წლიდან) უნდა შეექმნათ მათი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები.

სასამართლო ქრონიკა

უკანონო საექიმო საქმიანობისთვის გინეკოლოგი დააპატიმრეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ დააკმაყოფილა თბილისის პროკურატურის შუამდგომლობა ბრალდებულ ნადეჟდა გაბრიჩიძის მიმართ და აღკვეთი ღონისძიების სახით მას წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

საქმის მასალების მიხედვით, 1948 წელს დაბადებულ ნადეჟდა გაბრიჩიძეს ბრალად ედება უკანონო საექიმო საქმიანობა, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა - დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე მუხლის II ნაწით. რაც ითვალისწონებს თავისუფლების შეზღუდვას ვადით ხუთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთას ვადით სამიდან შვიდ წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე ან უამისოდ.

გამოძიების ინფორმაციით, ნადეჟდა გაბრიჩიძის მიერ 9 თვის ორსულისთვის გაკეთებული აბორტის შედეგად, 29 წლის ნანა ს-მ ღუდუშაურის საავადმყოფოში მკვდარი ბავშვი გააჩინა. ჩვილს მარჯვენა კიდური მოკვეთილი ჰქონდა და სხეულზე მრავლობითი დაზიანებები აღენიშნებოდა.

გავრცელებული ცნობებით, ნადეჟდა გაბრიჩიძე აბორტებს წლების განმავლობაში საკუთარ სახლში უკანონოდ აკეთებდა.

პროკურატურის მტკიცებით, ბრალდებულ ნადეჟდა გაბრიჩიძის მიერ ჩადენილი დანაშაული დადასტურებულია შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ნივთიერი მტკიცებულებებით, მოწმეთა ჩვენებებით, ამოღების ოქმებით, ექსპერტიზების დანიშვნის დადგენილებებით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით. ბრალდებული თავს დამნაშავედ არ ცნობს და მისთვის კანონით მინიჭებულ დუმილის უფლებას იყენებს.

წინა სასამართლო სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში 5 მაისს 2 საათზე გაიმართება.

3-წლიანი პატიმრობა გვარის მითვისებისთვის

თბილისის საქალაქო სასამართლომ დაასრულა სისხლის სამართლის საქმის განხილვა მერაბ და კახაბერ ტიტანიძეების მიმართ, ყალბი პირადობის მოწმობის გამოყენების ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის I ნაწილით.

აღნიშნული სისხლის სამართის საქმის მასალების მიხედვით, მერაბ და კახაბერ ტიტანიძეებმა ყალბი დაბადების მოწმობების საფუძველზე, ასევე ყალბი პირადობის მოწმობები მიიღეს. გაცემულ პირადობის დამადასტურებელ მოწმობებში ისინი სოლომონ ბაგრატიონის და კახა ბაგრატიონის სახელით იყვნენ მოხსენიებული. საგულისხმოა, რომ მითითებულ საბუთებს ბრალდებულები 2010 წლამდე უკანონოდ იყენებდნენ.

სასამართლო განხილვისას მერაბ და კახაბერ ტიტანიძეებმა თავი არ ცნეს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტეს, რომ ისინი სოლომონ II ბაგრატიონის სამეფო გვარის რეალური შთამომავლები იყვნენ და ზემოაღნიშნულის დასტურად მხოლოდ გაყალბებული პირადობის მოწმობები დაასახელეს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა ბრალდებულთა პოზიცია, ვინაიდან სასამართლო გამოძიებისას გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით სრულად იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ ბრალდებული პირები - სინამდვილეში კახაბერ და მერაბ ტიტანიძეები იყვნენ და შესაბამისად, ისინი მართლსაწინააღმდეგოდ იყენებდნენ ყალბი მონაცემების საფუძველზე გაცემულ სოლომონ და კახა ბაგრატიონების პირადობის დამადასტურებელ მოწმობებს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ საქმის მასალებსა და უტყუარ მტკიცებულებებზე დაყრდნობით მერაბ და კახაბერ ტიტანიძეებს სასჯელის სახედ და ზომად, თითოეულს, 3 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ქალაში დაჭოვებული განაჩენი

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, შვილის მკვლელობის მცდელობისთვის მსჯავრდებული ცხრაწლიან სასჯელს მოიხდის.

საქმის მასალების მიხედვით, 2010 წლის 4 ოქტომბერს სახლში ნასვამ მდგომარეობაში დაბრუნებულ მევლუდ ქეშელაშვილს მეუღლესთან კამათი მოუვიდა და მას ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ამ ფაქტს კახაბერ ქეშელაშვილი შეესწრო და მამას სთხოვა შეეწყვიტა დედის შეურაცხყოფა, მამა-შვილს შორის შელაპარაკება ჩხუბში გადაიზარდა, რის შემდეგაც შურისძიების მოტივით მევლუდ ქეშელაშვილმა საკუთარი შვილის მოკვლა განიზრახა, დანით შეიარაღდა და შვილს სიცოცხლისთვის სახიფათო მძიმე ხარისხის დაზიანება მიაყენა.

ჩატარებული სამედიცინო დახმარების შედეგად ჯახაბერ ქეშელაშვილს სიცოცხლე შეუნარჩუნდა.

პირველი ინსტანციის სასამართლომ მევლუდ ქეშელაშვილი დამნაშავედ ცნო და ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

განაჩენი სააპელაციო წესით მსჯავრდებულმა გაასაჩივრა. სააპელაციო საჩივრით მევლუდ ქეშელაშვილი ჩადენილი ქმედების გადაკვალიფიცირებას და სასჯელის შემსუბუქებას ითხოვდა.

დაცვის მხარის განმარტებით, მევლუდ ქეშელაშვილს შვილის მოკვლის განზრახვა არ ჰქონდა, ამიტომ მისი ქმედება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებით უნდა დაკვალიფიცირდეს.

დაცვის მხარის არგუმენტები სააპელაციო სასამართლოსათვის არასაკმარისი აღმოჩნდა, შესაბამისად, სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა დაცის მხარის მოთხოვნა, მიიჩნია, რომ განაჩენი არის კანონიერი, სამართლიანი, დასაბუთებული და პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.

საუდამო პაჭიმრობა შეკვეთილი მკვლელობის შესრულებისთვის

პირველი გვერდიდან

ფორმაციის საფუძველზე, ზესტაფონის რაიონული სამმართველოს თანამშრომლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, სოფელ ძირულასთან დააკავეს ზურაბ ს. რომლის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება «ჰეროინი", ხოლო ავტომანქანის ჩხრეკის შედეგად ამოიღეს ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი, მჭიდით და 26 ვაზნით, ასევე, ლითონის მჭიდი 30 ვაზნით, რეზინის ხელთათმანები, წებოვანი ლენტა, შავი ფერის ნაქსოვი ნიღაბი და შავი ფერის ჩანთა.

ინგა წ-ს, ზვიად ს-ს და ელენე თ-ს ბრალად ედებოდათ, დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად და შეკვეთით განზრახ მკვლელობის ორგანიზება.

ზურაბ ს-ს ბრალად ედებოდა, განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, ჯგუფურად და შეკვეთით - დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე მუხლის «ე" ქვეპუნქტით და ამავე მუხლის III ნაწილის «გ" ქვეპუნქტით; ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება და დამზადება (ორი ეპიზოდი), ასევე, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის I, II და III ნაწილებით; ასევე, ყაჩაღობის მომზადება, ე.ი. თავდასხმის მომზადება სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ბინაში უკანონო შეღწევით; საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 18, 179-ე მუხლის III ნაწილის «ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული და ნარკოტიკული საშუალების დიდი ოდენობით უკანონო შეძენა, შენახვა - სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის II ნაწილის «ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაული.

გიორგი რ-ს ბრალად ედებოდა, განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობა - დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით, ასევე საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა - დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის I ნაწილით.

წინასწარი გამოძიების დასრულების შემდეგ, საქმე განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიას.

სასამართლო სხდომაზე ბრალდებულმა ზვიად ს-მ სრულად ცნო თავი დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და დანაშაულებრივი დაჯგუფების სხვა წევრებიც ამხილა ჩადენილ დანაშაულში. ზვიად ს-ს აღიარებითი ჩვენების გარდა, ბრალდებულთა მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურდა, მოწმეთა ჩვენებებით, ჩხრეკისა და ამოღების ოქმებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმებით, ბალისტიკური ექსპერიზის დასკვნებით და საქმეში არსებული სხვა უტყუარი მტკიცებულებების ერთობლიობით.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მსჯავრდებულ ინგა წ-ს 20 წლით პატიმრობა მიუსაჯა, ელენე თ-ს კი - 16 წლითა და 6 თვით პატიმრობა.

სასამართლომ მხედველობაში მიიღო ზვიად ს-ს აღიარება, ის ფაქტი, რომ მან ითანამშრომლა საგამოძიებო ორგანოებთან და განსასჯელსა და ბრალდების მხარეს შორის გაფორმებული საპროცესო შეთანხმება დაამტკიცა, რომლის საფუძველზეც, მას დანიშნული სასჯელი 7 წლით პატიმრობა ჩაეთვალა პირობითად - 8 წლის გამოსაცდელი ვადით.

სასამართლო გამოძიებით ვერ დადასტურდა გიორგი რ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა და შესაბამისად, იგი გამართლდა ამ ბრალდებაში, თუმცა, იგი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 236 მუხლის I ნაწილით და 2 წლითა და 6 თვით პატიმრობა მიუსაჯა.

რაც შეეხება მკვლელობის შემსრულებელ - ზურაბ ს-ს, მას თბილისის საქალაქო სასამართლომ უვადო პატიმრობა შეუფარდა.

სასამართლოს განმარტება

თბილისის საქალაქო სასამართლო ცოტნე გამსახურდიას ადვოკატის ბრალდებებს უარყოფს და მათ მოსაზრებას უსაფუძვლოს უწოდებს.
"ცოტნე გამსახურდიას სასამართლო პროცესის მიმდინარეობა სხდომის ოქმში არასწორად არის ასახული. კერძოდ, დაცვის მხარის მიერ დაყენებული შუამდგომლობები, რომელიც მოსამართლემ დააკმაყოფილა, სხდომის მდივანმა ოქმში სახეშეცვლილი გადაიტანა," - ასეთი იყო ადვოკატის ბრალდება.

როგორც საქალაქო სასამართლოში აცადებენ, ადვოკატ ქეთი ბექაურის ბრალდება, თითქოს გამსახურდიას სასამართლო პროცესები სხდომის ოქმში არასწორად არის ასახული და მასში მოსამართლის მიერ დაკმაყოფილებული შუამდგომლობები არ დაფიქსირებულა, სიმართლეს არ შეესაბამება.

სასამართლოს განმარტებით, 2011 წლის 6 იანვარს, სასამართლო სხდომაზე ადვოკატმა მანანა კობახიძემ ექვსი შუამდგომლობა დააყენა.

სასამართლოს განმარტებით, ადვოკატ მანანა კობახიძის შუამდგომლობებს დაეთანხმა ცოტნე გამსახურდიას მეორე ადვოკატი ქეთი ბექაური. რაც შეეხება სახელმწიფო ბრალმდებელს, ის შუამდგომლობით აღნიშნულ მოთხოვნას - დამატებითი მოწმეების დაკითხვას არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ ვ.ტაბაღუას და მ.ბარამიძის მოწმის სახით დაკითხვა გასცილდებოდა სასამართლო განხილვის ფარგლებს.

რაც შეეხება შუამდგომლობას მტკიცებულების საქმეზე დართვის შესახებ, პროკურორმა მხარი დაუჭირა, სისხლის სამართლის საქმეს მტკიცებულების სახით დართვოდა ცოტნე გამსახურდიას განცხადება და მარინე ბარამიძის ახსნა-განმარტება, როგორც განსასჯელ ცოტნე გამსახურდიას პიროვნული მახასიათებელი.

სასამართლომ მიზანშეწონილად მიიჩნია შუამდგომლობა დაკმაყოფილებულიყო ნაწილობრივ. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეს მტკიცებულების სახით დაერთო ცოტნე გამსახურდიას განცხადება და მარინე ბარამიძის ახსნა-განმარტება, როგორც განსასჯელის პიროვნული მახასიათებელი.

რაც შეეხება ადვოკატის მოთხოვნას, მის მიერ დასახელებული სხვა გარემოებების საქმეზე მტკიცებულებად დართვის თაობაზე, სასამართლომ არ გაიზიარა, რადგან სასამართლოს მოსაზრებით, შუამდგომლობა ამ ნაწილში იყო უსაფუძვლო და დაუსაბუთებული.

სასამართლომ ასევე, უსაფუძვლოდ მიიჩნია და არ დააკმაყოფილა ადვოკატის შუამდგომლობა ვ. ტაბაღუას და მ. ბარამიძის მოწმის სახით დაკითხვის შესახებ.

"საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლო სხდომის ოქმი შედგენილია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 454-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით და ოქმში სწორად, სრულად და ობიექტურად არის გადმოცემული სხდომის მიმდინარეობა და შედეგები, მასში სრულყოფილად არის გადმოცემული პროცესის მონაწილეთა განმარტებანი, პოზიციები და კითხვა-პასუხები, ასახულია ყველა შუამდგომლობა თუ შენიშვნა-განცხადება. საქმის სასამართლო განხილვის დროს, ოქმის გაყალბებას ადგილი არ ჰქონია,» - აცხადებს თბილისის საქალაქო სასამართლო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განმარტებითვე, სხდომის აღნიშნული ოქმი მხარეებს კანონით დადგენილი წესით გადაეცათ და მათი მხიდან ოქმთან დაკავშირებით კანონით დადგენილი წესით რაიმე შენიშვნები თბილისის საქალაქო სასამართლოში დღემდე არ შესულა.

Vox Populi

ელიზბარ ცინცაძე,
50 წლის:

- ვინ ადგენს მსჯავრდებულისთვის გამოსაცდელ ვადას და როგორია ეს ვადები?

- საფუძვლების არსებობისას სასამართლო ადგენს გამოსაცდელ ვადას, რომლის განმავლობაშიც, მსჯავრდებულმა არ უნდა ჩაიდინოს ახალი დანაშაული და უნდა შეასრულოს მისთვის დაკისრებული მოვალეობა. თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სახის სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს არანაკლებ ერთი და არა უმეტეს სამი წლისა, ხოლო თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას - პირობით მსჯავრზე ერთი წლით მეტი. დანაშაულთა ერთობლიობის ან განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების შედეგად საბოლოო სასჯელის დანიშვნისას გამოსაცდელი ვადა უნდა იყოს პირობით მსჯავრზე ერთი წლით მეტი.

გიორგი ტყეშელაშვილი,
30 წლის:

- შეუძლია თუ არა პროკურორს მითითება მისცეს გამომძიებელს და სავალდებულოა თუ არა მისი შესრულება?

- პროკურორს უფლება აქვს, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში წერილობითი მითითება მისცეს გამოძიების ორგანოებს. გამოძიების საკითხებზე პროკურორის მითითების შესრულება სავალდებულოა.

თამთა გოგიტიძე,
24 წლის:

- დასაშვებია თუ არა, საპატიმროში მყოფ პატიმრებზე განხორციელდეს ვიზუალური კონტროლი?

- პატიმრობის დაწესებულებაში ბრალდებულები განთავსებული არიან სპეციალურ საკნებში, სადაც მათი ან სხვა პირების უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე და დაწესებულების დებულების მოთხოვნათა დაცვის მიზნით, შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური და ელექტრონული მეთვალყურეობა.

ელენე თავდგირიძე,
37 წლის:

- რას ითვალისწინებენ ვადამდე ადრე გათავისუფლების საბჭოები მსჯავრდებულის საქმის განხილვისას?

- საბჭო ითვალისწინებს მსჯავრდებულის ქცევას სასჯელის მოხდის პერიოდში, მსჯავრდებულის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტებს, მსჯავრდებულის პიროვნებას, ოჯახურ მდგომარეობას, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს, მიღწეულია თუ არა სასჯელის მიზანი და სხვა გარემოებებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საბჭოს გადაწყვეტილებაზე.

ლაშა თვალავაძე,
34 წლის:

- აქვს თუ არა პოლიციელს უფლება, გამაჩეროს ქუჩაში, შემამოწმოს და გამჩხრიკოს? თუკი პოლიციელის ამ ქმედებით დაირღვა ჩემი უფლებები, როგორ შემიძლია გავაპროტესტო?

- უკვე ამოქმედებულია "პოლიციის შესახებ» კანონში შეტანილი სიახლე, რომლის თანახმადაც, პოლიციელს მოქალაქისა და მისი ზედაპირულად შემოწმების უფლება აქვს.

ახალი წესების მიხედვით, პოლიციელი უფლებამოსილია, შეაჩეროს პირი, თუ არსებობს "გონივრული ეჭვი» მის მიერ დანაშაულის ჩადენის თაობაზე. თუმცა, პოლიციელი ვალდებულია, შეჩერებულ პირს მისი ვინაობა გააცნოს, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი წარუდგინოს და მას შეჩერების კანონიერება და გასაჩივრების უფლება განუმარტოს.

პოლიციელი უფლებამოსილია საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, "გონივრული ეჭვის» არსებობის შემთხვევაში, შეჩერებული პირის ტანსაცმელზე ზედაპირული შემოწმება აწარმოოს და თუ ამ დროს ჩხრეკის საფუძველი წარმოიშვება, ჩხრეკაც ჩაატაროს.

"გონივრული ეჭვის» საფუძველზე შეჩერებულ პირს შეუძლია, ხუთი დღის ვადაში, შემოწმების ადგილის მიხედვით, შეჩერების კანონიერება სასამართლოში გაასაჩივროს და უკანონო შეჩერებისთვის ფულადი კომპენსაცია მოითხოვოს.

როგორ გავხდეთ სასურველი ქვეყნის მოქალაქე

პირველი გვერდიდან

რომლის მშობლებიც აშშ-ს მოქალაქეები არიან. უცხოეთში გაჩენილი ბავშვი, რომლის ერთი მშობელი ამერიკის მოქალაქეა და ცხოვრობდა აშშ-ში 5 წელი მაინც, ბავშვის დაბადებამდე, ხდება ქვეყნის მოქალაქე.

ამერიკის მოქალაქეობა შეესაძლოა მიიღოს იმ პირმა, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს: იგი უნდა იყოს 18 წლის, 5 წელი მაინც უნდა ცხოვრობდეს ქვეყანაში, როგორც კანონიერი მუდმივი რეზიდენტი, შეეძლოს საუბარი, კითხვა და წერა ინგლისურ ენაზე, იცნობდეს ქვეყნის კულტურასა და ისტორიას და იცავდეს აშშ-ს კონსტიტუციის პრინციპებს.

უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც დაქორწინდება აშშ-ს მოქალაქეზე, ესაჭიროება აშშ-ში ცხოვრების სამწლიანი პერიოდი, რომ გახდეს მოქალაქე, ამასთან უნდა აკმაყოფილებდეს ზემოთ ჩამოთვლილ პირობებსაც.

აშშ-ს კანონმდებლობით დაშვებულია ორმაგი მოქალაქეობა. პირი, რომელიც უკვე არის აშშ-ს ქვეშევრდომი და მიიღებს სხვა ქვეყნის მოქალაქეობას, აშშ-ს მოქალაქეობას დაკარგავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს თავად სურს.

რაც შეეხება აშშ მოქალაქეობის შეწყვეტას, ეს პროცედურა შეიძლება იყოს ნებაყოფლობით, ანუ კანონით. აშშ-ს მოქალაქეობაზე უარის თქმა დასაშვებია, თუმცა, ეს უნდა მოხდეს აშშ-ს გარეთ იმ ქვეყნის საკონსულოში, რომლის მოქალაქეობასაც ითხოვს პირი და იძულებით - მოქალაქეობა ჩამოერთმევა პირს, რომელიც უღალატებს ქვეყანას, დადებს ერთგულების ფიცს სხვა ქვეყნის წინაშე ან მსახურობს იმ ქვეყნის არმიაში, რომელიც ომს აწარმოებს ამერიკის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, **დიდ ბრიტანეთს** ისტორიული კავშირები აქვს ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნებსა და ყოფილ კოლონიებთან (რომელშიც გაერთიანებულია 53 ქვეყანა), რომელშიც ხალხის ჯგუფები ერთიანდებიან სხვადასხვა კატეგორიად. მოქალაქეობის მოთხოვნა და სპეციალური უფლებები ამ ჯგუფისთვის რიგითი უცხოელი მოქალაქის უფლებებისაგან ხშირად განსხვავებულია. 1983 წლის 1 იანვარს მოქალაქეობის შესახებ კანონის მიხედვით, ბრიტანეთის მოქალაქეობის მიღება შესაძლებელია დაბადებით, ბავშვი, რომელიც გაჩნდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე და რომლის ერთ-ერთი მშობელი ბრიტანეთის მოქალაქეა, ან ცხოვრობს გაერთიანებულ სამეფოში. ბრიტანეტის მოქალაქე ხდება ის ბავშვიც, რომელიც გაჩნდა გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიაზე და რომლის მშობლები ცნობილი არაა.

ბრიტანეთის მოქალაქეობას მემკვიდრეობით იღებს ბავშვი, რომელიც გაჩნდა ზღვის იქეთა ბრიტანეთში და რომლის ერთ-ერთი მშობელი ბრიტანეთის მოქალაქეა. მოქალაქე ხდება ის ბავშვიც, რომელიც დაიბადა გაერთიანებული სამეფოს გარეთ და აქვს ნათესაური კავშირები გაერთიანებულ სამეფოსთან.

ბრიტანეთის მოქალაქეობის მოსაპოვებლად საჭიროა შემდეგი პირობების დაკმაყოფილება, კერძოდ, პირი უნდა ცხოვრობდეს გაერთიანებულ სამეფოში ხუთი წლის მანძილზე, უნდა იყოს დაქორწინებული ბრიტანეთის მოქალაქეზე, ცხოვრობდეს გაერთიანებულ სამეფოში სამი წელი აპლიკაციის შევსებამდე, იცოდეს ინგლისური, უელსური ან შოტლანდიურ-გალური ენა.

ბრიტანეთის კანონმდებლობა ასევე უშვებს ორმაგ მოქალაქეობას. თუმცა, ამისათვის საჭიროა გარკვეული პროცედურების გავლა. პირმა უნდა დაადასტუროს, რომ მას ნამდვილად აქვს უფლება ჰქონდეს მეორე ქვეყნის მოქალაქეობა.

იტალიის მოქალაქეობის მიღების წესი განისაზღვრება მოქალაქეობის შესახებ კანონით. იტალიის მოქალაქეობას მიიღებს ბავშვი, რომლის ერთი მშობელი მაინც არის იტალიის მოქალაქე, მისი დაბადების ადგილის მიუხედავად.

ბავშვი, რომელიც გაჩნდება იტალიის ტერიტორიაზე ავტომატურად არ ხდება იტალიის მოქალაქე. გამონაკლისია უცნობი მშობლებისგან გაჩენილი ბავშვი, ასევე ბავშვი, რომელიც დაიბადა იტალიაში და ლეგალურად ცხოვრობს მის ტერიტორიაზე, იგი 18 წლის ასაკის მიღწევისას ხდება მოქალაქე.

პირს, რომელიც იტალიელი ეროვნების მოქალაქესთან დაქორწინდება და რაიმე დანაშაულისთვის არ იძებნება, უფლება აქვს მოითხოვოს მოქალაქეობა. ამასთან, პირებს, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვეყანაში კანონიერი რეზიდენტობის გარკვეულ პერიოდებს, უფლება აქვთ მიიღონ იტალიის მოქალაქეობა. ეს პერიოდები სხვადასხვა კატეგორიისათვის განსხვავებულია: იტალიის მოქალაქეებთან ნათესაური კავშირის მქონე პირებისთვის - სამი წელია, ევროკავშირის წევრი ქვეყნის მოქალაქეებისთვის ოთხი წელი. ლტოლვილებისთვის, სრულწლოვანი უცხოელებისთვის, რომლებიც იტალიელებმა იშვილეს და პირებისათვის, რომლებიც უცხოეთში მუშაობდნენ და იტალიას ემსახურებოდნენ - ხუთი წელი. ვინც ჩამოთვლილ კატეგორიებს არ განეკუთვნება, მათთვის ათი წელი.

საფრანგეთის კანონმდებლობით, საფრანგეთის ტერიტორიაზე დაბადებული ნებისმიერი ბავშვი, მიუხედავად მშობლების წარმომავლობისა, ავტომატურად ხდება საფრანგეთის მოქალაქე. ამასთან, უცხოეთში დაბადებული ბავშვს, რომლის ერთი მშობელი მაინც საფრანგეთის მოქალაქეა, ხდება საფრანგეთის მოქალაქე. საფრანგეთის მოქალაქის მეუღლეს მოქალაქეობის მიღება შეუძლია ქვეყანაში ცხოვრების ერთი წლის შემდეგ, საცხოვრებლის უფლების მოთხოვნის გარეშე. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის საფრანგეთის მოქალაქეობის მისაღებად აუცილებელია, რომ იგი ხუთი წლის განმავლობაში ცხოვრობდეს საფრანგეთში. ხოლო, თუ პირი მუშაობს საფრანგეთის უნივერსიტეტში, მას მოქალაქეობა ორწლიანი ცხოვრების შემდეგ ეძლევა.

საფრანგეთის მოქალაქეობა ყოველგვარი პირობის გარეშე ეძლევა პირს, თუ იგი გამორჩეულ სამსახურს გაუწევს ქვეყანას, იმსახურებს საფრანგეთის არმიის საბრძოლო დანაყოფში და არის მეუღლე მცირეწლოვანი ბავშვის მშობლისა, რომელმაც მოიპოვა საფრანგეთის მოქალაქეობა.

ესპანეთის ტერიტორიაზე დაბადება ავტომატურად არ ნიშნავს ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას, მაგრამ გამონაკლისია უცნობი მშობლებისგან ან მოქალაქეობის არმქონე პირისაგან გაჩენილი ბავშვი. ხოლო, ბავშვი, რომლის ერთი მშობელი ესპანეთის მოქალაქეა იღებს ესპანეთის მოქალაქეობას, მიუხედავად დაბადების ადგილისა. ამასთან, ესპანეთის მოქალაქეობას იღებს ბავშვი, რომლის მშობლები არ არიან ესპანეთის მოქალაქეები, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი დაბადებულია ესპანეთში.

ესპანეთის მოქალაქეობის მიღების მსურველი უცხოელი, თუ მას არ აქვს ნათესაური კავშირი, ესპანეთში უნდა ცხოვრობდეს 10 წელი, ხოლო პორტუგალიის, ფილიპინების ან სამხრეთ ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში, საკმარისია ესპანეთში ცხოვრების ორი წელი.

მოქალაქეობას იღებს პირი, თუ ჰყავს ესპანელი მეუღლე ან უცხოეთში დაიბადა დედით ან მამით ესპანელის ოჯახში. სხვათა შორის, ესპანეთში ორმაგი მოქალაქეობა არ არის დაშვებული.

გერმანიის მოქალაქეობის მიღება ეფუძნება მემკვიდრეობით გადაცემის პრინციპს (jus sanguinis). გერმანიაში დაბადება პირს ავტომატურად არ აძლევს მოქალაქეობას, გარდა შემთხვევისა, როცა ერთ-ერთი მშობელი მაინც ქვეყანაში რვა წელი ცხოვრობს. მემკვიდრეობით გერმანიის მოქალაქე ხდება ქორწინებით გაჩენილი ბავშვი, თუ მამა ან დედა გერმანიის მოქალაქეა. ქორწინების გარეშე გაჩენილი ბავშვი, რომლის დედაც გერმანიის მოქალაქეა, მამას კი არა აქვს მოქალაქეობა ან უცნობია. ქორწინების გარეშე უცხოელი ქალისაგან გაჩენილი ბავშვი, რომლის მამა გერმანელია და რომელიც ბავშვს საკუთარ შვილად ცნობს. გერმანიის მოქალაქეობის მისაღებად აუცილებელია ქვეყანაში ცხოვრების რვაწლიანი პერიოდი.

იმისათვის, რომ უცხოელი გახდეს **ავსტრიის** მოქალაქე, იგი ამ ქვეყანაში უნდა ცხოვრობდეს ბოლო 10 წლის განმავლობაში, ავსტრიის უნივერსიტეტში უნდა ეკავოს პროფესორის თანამდებობა, იყოს ავსტრიის მოქალაქის მეუღლე და ცხოვრობდეს ავსტრიაში მინიმუმ 5 წლის განმავლობაში.

პოლონეთის მოქალაქეობის მისაღებად პირი უნდა ცხოვრობდეს პოლონეთში ბოლო 5 წლის მანძილზე და უნდა წარადგინოს დასტური წინა მოქალაქეობის შეწყვეტის შესახებ (გამონაკლისი შემთხვევაა, როცა პრეზიდენტს შეუძლია უბოძოს მოქალაქეობა უცხო ქვეყნის მოქალაქეს).

რაც შეეხება **რუსეთის** მოქალაქეობის მიღებას, აქ აუცილებელია ბოლო 5 წლის განმავლობაში პირი ცხოვრობდეს ამ ქვეყანაში, უნდა დადოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის დაცვის პირობა და უნდა იცოდეს რუსული ენა **უკრაინაში** კი პირი ვალდებულია დაიცვას უკრაინის კონსტიტუციისა და კანონების მოთხოვნები, არ უნდა იყოს უცხო ქვეყნის მოქალაქე, უნდა ცხოვრობდეს უკრაინის ტერიტორიაზე ბოლო 5 წლის მანძილზე, უნდა იცოდეს უკრაინული ენა და უნდა ჰქონდეს კანონიერი შემოსავლის წყარო - ამ შემთხვევაში, იგი მიიღებს უკრაინის მოქალაქეობას.

რაც შეეხება **ლიტვას,** მოქალაქობის მისაღებად პირმა უნდა ჩააბაროს გამოცდა ლიტვურ ენაში და უნდა გამოამჟღავნოს კონსტიტუციის ძირითადი ცოდნა (ცოდნის კრიტერიუმებს და პროცედურებს ადგენს ლიტვის მთავრობა). უნდა ცხოვრობდეს ბოლო 10 წელი ლიტვაში, უნდა ჰქონდეს მუდმივი სამუშაო ადგილი ან შემოსავლის კანონიერი წყარო, უნდა იყოს მოქალაქეობის არმქონე ან უარყოფილი უნდა ჰქონდეს წინა მოქალაქეობა.

განრიდების პროგრამის ევროპული მოდელი

იუსტიციის სამინისტროს ინიციატივითა და ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, საქართველოს ეწვივნენ ჰოლანდიელი და ავსტრიელი ექსპერტები - დატო სტინჰოისი და მიხაელ შონი, რომლებმაც ქართველ კოლეგებს გაუზიარეს გამოცდილება პასუხისმგებლობის ალტერნატიული ღონისძიებების შესახებ. განრიდების პროგრამის ჰოლანდიური მოდელის პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტში გაიმართა.

განრიდება პასუხისმგებლობის ალტერნატიულ ფორმაა, რომელიც გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პირი, რომლის მიმართაც იწყება ან მიმდინარეობს სისხლისსამართლებრივი დევნა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის, თანახმაა დააბრუნოს უკანონოდ მოპოვებული ქონება ან აანაზღაუროს მისი ღირებულება; სრულად ან ნაწილობრივ აანაზღაუროს მიყენებული ზიანი; გადაიხადოს ფულადი გადასახდელი სახელმწიფოს სასარგებლოდ ან შეასრულოს საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაო.

ამ პირობების შესრულების შემთხვევაში, პროკურორი უფლებამოსილია, არ დაიწყოს ან შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა, შესაბამისად, საქმე მთავრდება ნასამართლობისა და სისხლისსამართლებრივი სასჯელის გარეშე.

განრიდების ფარგლებში დაცულია დაზარალებულის კანონიერი უფლებები და საზოგადოების ინტერესები.

განრიდების დანერგვას თან ახლავს მნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგები, ესენია:

კანონდამრღვევთა დაინტერესება - პასუხისმგებლობით ნასამართლობის გარეშე;

საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის აქტუალიზაცია; სახელმწიფო რესურსების დაზოგვა და პროცედურების გამარტივება; სასამართლოს განტვირთვა მცირე მნიშვნელობის საქმეთა განხილვისაგან.

რამდენიმე თვის წინ საქართველოში «არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის" პილოტური პროგრამა ამოქმედდა, რომელიც ქვეყანაში მიმდინარე სისხლის სამართლის რეფორმის ნაწილია და ის პროკურორებს საშუალებას აძლევს, არასრულწლოვნებში დანაშაულის პრევენციაზე იზრუნონ. პროგრამა ჯერჯერობით პილოტურია და პირველ ეტაპზე ქვეყნის დედაქალაქში, რუსთავში, ბათუმსა და ქუთაისში იმოქმედებს. გარკვეული პერიოდის შემდეგ კი მოხდება პროგრამის შედეგების შეჯამება და ანალიზი, რის შემდეგაც ის მთელი საქართველოს მასშტაბით ამოქმედდება.

არასრულწლოვანთა განრიდებისა და მედიაციის პროგრამა საზოგადოებისთვის სრულყოფილი მოქალაქის დაბრუნებას გულისხმობს. ამოქმედებული პრგრამისთვის, დღეის მდგომარეობით, საქართველოში სპეციალურად გადამზადებული მხოლოდ 14 პროკურორი მუშაობს, სამომავლოდ კი, ამ მხრივ, საქართველოს ყველა რეგიონის ათვისება იგეგმება.

პროგრამის მიხედვით, თუ იარსებებს დასაბუთებული ვარაუდი იმის შესახებ, რომ არასრულწლოვანმა პირველად ჩაიდინა ნაკლებად მძიმე დანაშაული, ამ შემთხვევაში, პროკურორს უფლება ეძლევა, დამნაშავე არასრულწლოვანი სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას განარიდოს. ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანების მიმართ, გამოყენებულ იქნება ალტერნატიული პასუხისმგებლობის ფორმები, რათა ისინი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოხვედრის ნაცვლად, რეაბილიტაციისა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ღონისძიებებში ჩაერთონ.

არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც პროკურატურა შეწყვეტს ან არ აღძრავს სისხლის სამართლებრივ დევნას, არასრულწლოვანი ვალდებული იქნება, მის მიერვე არჩეული ფორმით, ბოდიში მოუხადოს დაზარალებულს და დაზარალებულთან ზიანის ანაზღაურებაზე შეთანხმდეს. თუ ხელშეკრულების პირობებს არასრულწლოვანი პირნათლად შეასრულებს, მას ნასამართლობა აღარ ჩაეწერება.

«განრიდებისა და მედიაციის» პროგრამაში მონაწილეობის შანსი არასრულწლოვანს მხოლოდ ერთხელ ეძლევა. პროგრამის მიზანია, ასევე, არასრულწლოვნებში რეციდივის - განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება.

ხელშეკრულების შესრულებაზე ზედამხედველობა სოციალურ მუშაკს ეკისრება. თუ არასრულწლოვანის მხრიდან მოხდება ხელშეკრულების დარღვევა, პროკურორს შეუძლია დევნა დაიწყოს, ან განაახლოს.

საგამომცემლო ჯგუფი:
მარიამ ბერიშვილი
ხათუნა ბარათაშვილი
თამარ გურული
ტელ: 899 97 72 12
899 43 74 03.
ელ-ფოსტა: samartalis3@gmail.com